თანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 04.06.2020 წ.

ერთი მხრივ **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი** (შემდეგში „ბსუ“), წარმოდგენილი რექტორის მოადგილის, პროფესორის **თამარ სირაძის** მიერ და მეორე მხრივ **სსიპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“** ს/კ 245615963, შემდეგში „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“), წარმოდგენილი დირექტორის **ირაკლი არჩაიას** მიერ (შემდეგში „მხარეები“), თანხმდებიან პროფესიული განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

მხარეთა უფლება–მოვალეობები:

1. „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების **„მებაღეობა“** (პროგრამა - წინამდებარე მემორანდუმის **დანართი** 1) და **„სატყეო საქმე“** (პროგრამა - წინამდებარე მემორანდუმის **დანართი** 2) პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის გავლას, მათი პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით:

   ა) მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით შეთანხმებული პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის ფარგლებში (20 პროფესიული სტუდენტი თითოეული პროგრამიდან);

   ბ) წინამდებარე მემორანდუმში აღნიშნული პროგრამების **სასწავლო გეგმების** გათვალისწინებით (სასწავლო გეგმები - წინამდებარე მემორანდუმის დანართი 3, დანართი 4);

   გ) წინამდებარე მემორანდუმში აღნიშნული პროგრამების **მოდულებში** (პროგრამა- „მებაღეობა“ წინამდებარე მემორანდუმის დანართი 5, დანართი 6, დანართი 7, დანართი 8, დანართი 9, დანართი 10, დანართი 11, დანართი 12, დანართი 13, დანართი 14, დანართი 15: პროგრამა „სატყეო საქმე“- წინამდებარე მემორანდუმის დანართი 16, დანართი 17);

   დ) „ბათუმის ბოტანიკური ბაღის“ **მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე** (წინამდებარე მემორანდუმის დანართი 18).

2. **მხარეები:**

   ა) დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.);

   ბ) უზრუნველყოფენ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ნორმებს, როგორც ბსუ-ს, ასევე „ბათუმის ბოტანიკური ბაღის“ ბაზაზე;

   გ) დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო ტრენინგებს, საინფორმაციო შეხვედრებს და სხვა;

   დ) მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ასახავენ პროფესიულ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების და დადასტურებების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხებს.

3. წინამდებარე მემორანდუმის დანართები შეადგენენ ამ მემორანდუმისა და შემდეგში მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მემორანდუმის მოქმედების ვადა და მხარეთა რეკვიზიტები:

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე და ძალაშია მის გაუქმებამდე.

„ბსუ“	„ბათუმის ბოტანიკური ბაღი“
(მისამართი:	(მისამართი: დასახლება „მწვანე
ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35/რუსთაველის N32)	კონცხი“, ბათუმი, აჭარა)
თამარ სირაძე	დირექტორი
რექტორის მოადგილე, პროფესორი	ირაკლი არჩაია